ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23
2018 წლის 2 თებერვალი

ქ.ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.105.016396) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 2.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთი ერთ სულ მოსახლეზე განისაზღვროს 0,5 ლარით თვეში, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით, ხოლო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში (სოფლებში) კომლზე 1 ლარით.“.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე, აქტის მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 2 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **ბესიკ ჭეჟია**
მოვალეობის შემსრულებელი